

პრესასთან საკონტაქტო პირი:

გამოცემა 2010 წლის 6 იანვარს

კაროლინ სატონი

“კო-ექშნ პაბლიშინგი”

Caroline.Sutton@co-action.net

+47 90 69 05 06

გამოდის ფსიქოტრავმატოლოგიის ევროპული ჟურნალი

6 დეკემბერი, სტოკჰოლმი: “კო-ექშნ პაბლიშინგი” უერთდება ტრავმული სტრესის შესწავლის ევროპულ საზოგადოებას (ESTSS-ს), რათა მასთან ერთად განაცხადოს დღეს საზოგადოების ახალი ჟურნალის –

“ფსიქოტრავმატოლოგიის ევროპული ჟურნალის” (EJPT-ის) გამოცემის შესახებ

“ფსიქოტრავმატოლოგიის ევროპული ჟურნალი” წარმოადგენს მოცემული საზოგადოების ოფიციალურ ორგანოს და მიზნად ისახავს მეცნიერთა, კლინიცისტთა და მკვლევართა ჩართვას მის ფურცლებზე ტრავმული სტრესის, მისი შედეგებისა და მნიშვნელოვნების ირგვლივ გამართულ გადამწყვეტ მსჯელობებში მოცემულ დარგში მოღვაწე ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ ლიცენზირებული ახალი კვლევებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური გამოცდილებისა და პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტირებული მასალის გამოქვეყნებით. ჟურნალი წარმოგვიდგენს როგორც მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის ყველა დონეს, ასევე კლინიცისტებისათვის პრაქტიკულ და ყოველდღიურად გამოსაყენებელ ინფორმაციას. ჟურნალში შემავალი შემოქმედებითი ზოგადი ლიცენზიით დადასტურებული მთელი მასალა იქნება ღია და თავისუფლად ხელმისაწვდომი. ჟურნალის მისაწვდომობას დამატებით აძლიერებს ის ფაქტი, რომ მასში უნიკალურადაა ჩართული სტატიების მოკლე მიმოხილვები სულ ცოტა ხუთ სხვადასხვა ენაზე, რაც ხაზს უსვამს EJPT-ის ევროპულ წარმომავლობას.

“EJPT-ს მხარს უჭერს რედაქტორებისა და სარედაქციო კოლეგიის წევრების მრავალრიცხოვანი ევროპული გუნდი”, ამბობს მისი მთავარი რედაქტორი მირანდა ოლფი, ნიდერლანდების აკადემიური სამედიცინო ცენტრის წარმომადგენელი, და იქვე დასძენს “მე მაქვს პატივი ვიყო დანიშნული EJPT-

ის მთავარი რედაქტორის თანამდებობაზე და მიუთმენლად ველი ჟურნალის მთელ გუნდთან მუშაობის დაწყებას. ჩვენ შესანიშნავი სარედაქციო ორგანიზაცია გვაქვს, რედაქტორის იმ თანაშემწეთა ჩათვლით, რომელნიც უაღრესად ცნობად სახეებს წარმოადგენენ თავიანთ სპეციფიურ საექსპერტო დარგებში, – ვიტორია არდინო, კრის ბრევინი, რუთ ლანიუსი, აგნეს ვან მინენი, რიტა როსნერი და სტიუარტ ტერნერი, – და ასევე დამატებით სამ სტატისტიკურ მიმომხილველთან და სარედაქციო კოლეგიის ორმოცზე მეტ შესანიშნავ წევრთან ერთად. მათი თანადგომითა და მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ სწრაფად ვაქციოთ *EJPT* მაღალი ხარისხის ბეჭდვით ორგანოდ”.

EJPT აქვეყნებს რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვან სტატიასა და მიმოიხილავს ცალკეულ შემთხვევებს. ბისონი და მისი კოლეგები წარმოგიდგენენ მაშრომს თემაზე “ძალადობრივი დანაშაულის შემდგომი პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის სკრინინგის პროგრამის განხორციელება”, ხოლო მაერკერი და ზნოი გვთავაზობენ მიმოიხილვას საკითხზე “პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის ახალგაზრდა და-ძმები: მსგავსება და განსხვავებები რთულ, კომპლექსურ დარდსა და PTSD-ს შორის”. ლანიუსის, ფრევენის, ვერმეტენისა და იეჰუდას მეორე მიმოიხილვა აშუქებს თემას “შიშის განპირობება და ადრეული ცხოვრებისეული მოწყვლადობა: PTSD–ს დროს ემოციური დისრეგულაციისა და ტვინის დისფუნქციის ორი გარკვეული გზა”. სხვა პუბლიკაციები მოიცავს შემდეგ სტატიებს: ენგელჰარტისა და კოლეგების კვლევას “დამამძიმებელი სამუშაო მეხსიერების ზეგავლენა ნეგატიურ და პოზიტიურ მეხსიერებაზე”, ასევე თაუნსენდ ფიარისა და მისი კოლეგების ნაწევრებს სახელწოდებით “50 გზა თქვენი გამოცდილების კვალის დასადგენად: საპასუხო რეაგირების მზარდი მაჩვენებლები შეიძლება იყოს იაფი და ეფექტური”. შესავალი ნაწილის შინაარსი შემოფარგლულია მხოლოდ სამი ცალკეული შემთხვევის გარჩევით, ერთი მათგანი შეეხება ფსიქოთერაპიის ახალ ფორმას, მეორე – ბავშვობაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლად ყოფნის შედეგად განვითარებული PTSD –ს მქონე პაციენტებისათვის ხანმოკლე ინტენსიური ექსპოზიციური თერაპიის განხორციელებადობას, და მესამე კი გლუკოკორტიკოიდის ზრდას გახანგრძლივებული ექსპოზიციური თერაპიის შედეგად.

სარედაქციო კოლეგიის ცნობით, განხილვისა და დამუშავების პროცესშია კიდევ მრავალი დოკუმენტი და მასალა; მკვლევარებს, კლინიცისტებს, ჯანდაცვის მომიჯნავე დარგის პროფესიონალებს, პაციენტთა ჯგუფებს, გადაწყვეტილებების მიმღებ თანამდებობის პირებს, მედიისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს ექნებათ უფრო მეტი საინტერესო შინაარსის მქონე მასალის წაკითხვის შესაძლებლობა უახლოეს მომავალში.

ფსიქოტრავმატოლოგიის ევროპულ ჟურნალს (EJPT) შეიძლება გაეცნოთ შემდეგ მისამართზე: www.eurojnlofpsychotraumatol.net .

ტრავმული სტრესის შესწავლის ევროპული საზოგადოება (ESTSS) დაარსდა 1993 წელს და წარმოადგენს ფსიქოტრავმატოლოგიის დარგში მომუშავე პროფესიონალების ევროპულ ქსელს. საზოგადოება გვარწმუნებს, რომ ტრავმული სტრესის ყველა ასპექტსა და მის მრავალგვარ გამოვლინებებს, საპასუხო რეაგირებასა თუ შედეგებს სათანადო გამორჩეული ადგილი ეთმობა. ESTSS მხარს უჭერს შესაბამისი კონტაქტების, კავშირების დამყარებას ინდივიდუალურ პირებსა და ორგანიზაციებს შორის ფსიქოტრავმატოლოგიის სფეროს ფარგლებში (www.estss.org)

“კო-ექშნ პაბლიშინგი” წარმოადგენს საერთაშორისო ღიად და თავისუფლად მისაწვდომ სამეცნიერო გამომცემლობას, ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ რეცენზირებული სამეცნიერო ჟურნალების მზარდი ასორტიმენტით, რომელიც სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინას მოიცავს. კომპანია რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია შვედიაში და მისი ერთპიროვნული მფლობელი სამი დამფუძნებელი პარტნიორია (www.co-action.net).